№ 188

შაბათი, 1 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 188

შაბათი, 1 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 2
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ წლის ენკენისთვიდან თავისუფლდება ადგილი საზოგადოების თონეთის სასოფლო სკოლის მასწავლებლისა. ვისაც ჰსურს აღნიშნული ადგილი დაიჭიროს, უნდა მოჰმართოს გამგეობას თხოვნით და თანვე წარმოადგინოს საჭირო დოკუმენტები.

(3—უ—3)

ქ. ქუთაისში

ქალაქის ექიმი

ი. ი. ჩარექოვი

გადავიდა ბინად ტფილისის ქუჩაზე, თ. ნიჟარაძის სახლში, № 46, აბორინის სახლის გვერდში.

იღებს ავადმყოფებს 10—12 საათამდის.

(8—185—6)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, სალამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ექიმი

ვასილი მიხეილის-ძე

მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—4).

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13. ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა 1 სექტემბრიდამ.

(10—181—10)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მთავრობის განკარგულება

—

წესები გაძლიერებულ მცველობის დებულებისა.

(კანონთა კრებულის მე. XIV ტ. 1-ლი ნაწ. დამატება, მუხლები 14—22).

14. იმ ადგილებში, სადაც გაძლიერებულ მცველობის წესები იქმნება შემოღებული, სახელმწიფო და საზოგადო წესიერების დაცვა ევალება გენერალ-გუბერნატორებს, ხოლო გუბერნიებში—გუბერნატორებსა და ქალაქის უფროსებს.

15. ამ ადგილებში დასახელებულ მოხელეებს ნება აქვთ: 1) გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი სახელმწიფო და საზოგადო წესიერების დაცვის შესახებ, მაგალითად, დადგენილებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ადევნონ თვალ-ყური უძრავ ქონების პატრონთ თავიანთ ქონებას, ვინ უნდა დანიშნონ ამისათვის და სხვანი. 2) სამ თვემდე დააპატიმრონ, ან ხუთასი მანეთით დააჯარიმონ ისინი, ვინც სავალდებულო დადგენილებებს დაარღვევს, ან არ აასრულებს.

16. ამავე მოხელეებს ნება ეძლევათ: 1) ადმინისტრატიულის წესით გაარჩიონ საქმენი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის შესახებ; 2) აკრძალონ ყოველგვარი ყრილობანი სახალხო, საზოგადო და კერძო, 3) მოახდინოს განკარგულება ამა თუ იმ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა დაკეტვის შესახებ დროებით ან იმ ხანში, სანამ გაძლიერებულ მცველობის დებულება მოქმედებს; და 4) აუკრძალოს კერძო კაცებს იმ ადგილში ცხოვრება, სადაც გაძლიერებულ მცველობის წესებია შემოღებული.

შენიშვნა. კერძო კაცის სხვა ადგილას გაგზავნის შესახებ წინდაწინვე უნდა შეეკითხნენ შინაგან საქმეთა მინისტრს.

17. ამ უმაღლეს მოხელეთაგან დამოკიდებულია: 1) გადაცემა, თუ საჭიროდ სცნობს, სამხედრო სასამართლოში ამა თუ იმ საქმისა დანაშაულობათა შესახებ, რომელსაც კანონით საოლქო სასამართლო უნდა არჩევდეს; სამხედრო სასამართლომ ეს საქმეები უნდა განიხილოს იმ კანონებით, რომელნიც მოქმედებენ ომიანობის დროს; 2) მოითხოვოს, რომ ესა თუ ის საქმე, რომელსაც შეიძლება წესიერების დარღვევა და ხალხის აღელვება მოჰყვეს, სასამართლომ საჯაროდ არ განიხილოს.

მე-18 და მე-19 მუხლებში აღნიშნულია წესი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სამხედრო სასამართლო იმ საქმების გარჩევის დროს, რომელნიც გამოიწვია სახელმწიფო წესიერების დარღვევამ.

20. ამ უმაღლეს მოხელეებს შეუძლიანთ მოითხოვონ გადაყენება სამსახურიდან არა მარტო იმათი, ვინც პირდაპირ ექვემდებარებიან საგუბერნიო მმართველობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ იმათიც, რომელნიც მსახურებენ საქალაქო, საერობო და სასამართლო დაწესებულებებში, გარდა მომრიგებელ მოსამართლისა და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც არჩეულ არიან საქალაქო ან საერობო დაწესებულების თანამდებობაზე.

21. ადგილობრივ პოლიციისა და ჟანდარმთა უფროსებს უფლება აქვთ: 1) დააპატიმრონ, მაგრამ არა უმეტეს ორის კვირის ვადისა, ყველა ისინი, რომელთა შესახებაც საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ სახელმწიფო წყობილების საწინააღმდეგო დანაშაულობა ჩაიდინა, ან ამა თუ იმ საიდუმლო საზოგადოების წევრია; 2) გასჩხრიკონ ყოველი სახლი, ქარხანა, ან დაწესებულება და თავის უფლებით, უმაღლეს მთავრობის განკარგულებამდე, არესტი დაადვას ყოველგვარ ქონებას, რომლის შესახებაც ეჭვი აქვს, რომ ბოროტად იხმარება.

22. თუ ადგილობრივი მოხელენი ბეჯითად არ ასრულებენ გაძლიერებულ მცველების წესებს, ისინი სასამართლოს განჩინებით დასჯილ იქნებიან; სასჯელი ამ შემთხვევაში ორის ხარისხით აღემატება კანონში აღნიშნულს სასჯელს.

—

სახელმწიფო საბჭომ განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგენილება კავკასიის საზღვართა სამკურნალო სადგურების შტატის პროექტის შესახებ და დაადგინა: კავკასიაში არსებული საკარანტინო დაწესებულებანი და კარანტინის დარაჯი გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს უწყებიდგან შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებას; დაარსებულ იქმნას 7 სამკურნალო სადგური და 8 საზღვაო სამკურნალო სადგური; 1902 წლის 1 იანვრიდგან საკარანტინო დარაჯთა მოწვევა გაუქმდეს და ჯარის კაცთა ნაცვლად სამკურნალო სადგურების მოსამსახურენი იქმნენ მოწვეულნი; კავკასიის საკარანტინო დაწესებულებათა საზოგადო გამგეობა დაევალოს კავკასიის მთავარ-მართებელს კავკასიის სამკურნალო გამგეობასთან ერთად; საზღვართა სამკურნალო სადგურების დროებითი შტატის პროექტი წარუდგინოს დასამტკიცებლად მისს უდიდებულესობას და ეს შტატი შემოღებულ იქმნას 1902 წლის 1 იანვრიდგან; ამ საკარანტინო დაწესებულებათა შესანახად გადადებულ იქმნას ამა მიმდინარე წელს აქამდის გადადებული ფული, ხოლო 1902 წლის 1 იანვრიდგან გადადებულ იქმნას წელიწადში 125.580 მან.; ის პირნი, რომელნიც მსახურებენ კავკასიის საკარანტინო დაწესებულებებში, რომელნიც ახალის შტატის შემოღების შემდეგ გაუქმებულნი იქმნებიან, თუ ახალ თანამდებობაზედ არ დაინიშნენ, შტატს გარეშე იქმნენ დატოვებულნი.

ახალი ამბავი

—

⁂ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს განუმარტავს, ქალაქის საბჭოში წევრად არჩევის უფლება ეძლევათ თურმე უმამულოთაგან მხოლოდ ხაზინისა, სავაჭრო-სამრეწველო და საქველ-მოქმედო დაწესებულებათა წარმომადგენელთ, მცირე-წლოვანთა ოპეკუნებს და დედათა სქესის წარმომადგენელთა რწმუნებულთ. მცირე წლოვანთა და სრულ წლოვანთა მზრუნველებსა და რწმუნებულებს, რომელთაც ჯერ 25 წელიწადი არ შეჰსრულებიათ, უფლება აქვთ არჩევანისა იმ შემთხვევაში მხოლოდ, როცა საკუთარი ქონებრივი ცენზიცა აქვთ.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ საშუალო სასწავლებლების მასწავლებლების თავისუფალს ადგილებზედ დაუყოვნებლივ იქმნენ ხოლმე საჭირო კაცები დანიშნულნი. თუ რომ თვითონ ოლქში არ მოიძებნება ღირსეული კანდიდატი, მაშინ ეს თავისს დროზედ საერო განათლების სამინისტროს უნდა აცნობონ უთუოდაო.

⁂ დედათა სასწავლებლებში სხვადასხვა ხელთ-საქმის უკეთ შესასწავლად საერო განათლების სამინისტროს წინადადება წარუდგენია სამოსწავლო ოლქების ყველა მზრუნველებისათვის, რომ აღნიშნულ საგნის მასწავლებლად უთუოდ საგანგებოდ მომზადებული და განათლებული ქალები ინიშნებოდნენ ხოლმე. ხელთ-საქმის მასწავლებელს ქალს ამასთანავე საერო განათლების სამინისტროს დაბალი დედათა სასწავლებელი მაინც უთუოდ უნდა ჰქონდეს დამთავრებული.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებიან, კავკასიაში განზრახულ დედათა დამხმარებელ საზოგადოების წესდებას, რომელსაც აზრადა აქვს კავკასიელ დედათ უმაღლესის განათლების მიღების საქმეში დახმარება აღმოუჩინოს, უმაღლესი სამოსწავლო მთავრობა მალე თურმე დაამტკიცებს, მაგრამ სტიპენდიებს დაუნიშნავს თურმე არა ტფილისში მყოფ საზოგადოების გამგეობა, არამედ თვითონ პეტერბურგის სამოსწავლო მთავრობა.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებული ი. ს. მედვედევი გუშინ დაბრუნდა ბორჯომიდგან.

⁂ საკომერციო განათლების მოღვაწეთა კრებაზედ, რომელიც 1902 წ. იქნება იანვარში მოწვეული ფინანსთა სამინისტროსთან, დიდი ყურადღება ექმნება მიქცეული აგრეთვე ქალების საკომერციო განათლებას.

⁂ ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, გარდაიცვალა ტფილისის საკანტროლო პალატის მმართველი ვასილი გაბრიელის ძე ბუტირკინი.

⁂ სახაზინო რკინის გზების ტელეგრაფის უფროსების კრებისათვის, რომელიც ტფილისში მოხდება სექტემბერში, 500 მან. კრედიტია გამოთხოვნილი.

⁂ გზათა მინისტრს ამიერ-კავკასიის რკინის გზებისათვის ვერხნევოლჟსკის ქარხნიდგან 60 დახურული საქონლის ვაგონი გამოუწერია.

⁂ როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამას წინად ფალიაშვილს ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურიაში ფონოგრაფით სიმღერები გადაალებინა. როგორც შევიტყეთ, გამოფენისათვის ხოროს გამმართველთ ბ-თ კარგარეთელსა და კავსაძეს მიუმართნიათ ახლა საზოგადოების გამგეობისათვისა და უთხოვნიათ ამათგან რამდენიმე სიმღერა ნოტებზედ გადაალებინოს და გამოფენის დროს სამღერლად მისცეს, მაგრამ გამგეობას ამ თხოვნის შეწყნარება, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, შეუძლებლად უცვნია.

⁂ ბაქოს სადგურიდგან იუწყებიან, რომ 29 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, შავს ქალაქში ქვაბების მობმის დროს რკინის გზის მატარებლის ვაგონს ქვეშ ჩაცვივნულან სიზრანის მცხოვრებნი ივანე კასიმოვი, 18 წლისა, და გრიგორი ბეჟენევი, 8 წლისა. პირველისათვის დაუჭეჭყია გულმკერდი და მოუტეხნია მარჯვენა თეძო, ხოლო მეორეს თავი გასტეხია. დაშავებულნი საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

კავკასიის მომავალი გამოფენა

ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას გზათა სამინისტრომ ნება დართო, რომ კავკასიის მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაში მონაწილეობა მიიღოს და ამ საგანზედ 2,000 მან. დახარჯოს.

ცხოვრების გამოძახილი

X.

ხერხი გვერჩიოს ღონესა.

საქართველოს ერს სამოცი მოსახლე კიდე ემატება, მაგრამ რუსისა კი არა, სომხისა. ჩვენს მოკეთე მეზობლებსაც აეშალათ მადა ჩვენის ქვეყნის გაშენებისა და ფიქრობენ, თუ რუსის მუჟიკებს ეპატიჟებიან, ჩვენი კრუები ვითომ რად ვერ შეიფერებენ ცხოვრებას იმ ქვეყანაში, რომელიც ძველად ჩვენი ყოფილა და მომავალშიაც ჩვენი იქნებაო.

მართალია, ფული, რომლითაც მდიდარი სომხები ჰლამიან ჩვენის ქვეყნის დაპყრობას, ძალით არ დაუვარდება ნამდვილ საომარ იარაღს და ამ შემთხვევაში მათი თაოსნობა საოცარიც არის თვისის დიადობით, მაგრამ ვაი თუ ვერ გამოადგესთ გულის წადილის აღსრულების საშუალებად, მეტადრე მაშინ, როცა მას მოცილედ უდგია ერის ზნეობა, რომელსაც ჯერ კიდევ საკმაო სიმტკიცე შერჩენია.

ერთი ამ გვარი მდიდარი სომეხი, რომელსაც თავისიანთა კეთილდღეობისთვის ზრუნვის მეტი არა დარჩენია რა, გახლავს ტფილელი მოქალაქე ვინმე მირზოევი. აი ამ ბატონს, როგორც „ცნობის ფურცლის“ გაზეთი № 1563 გვატყობინებს, ბორჩალოს მაზრის ბაიდარახის სოფელში შეძენილი დიდძალი მამულები თურმე დაუყვია პატარ-პატარა ნაჭრებად და თავისი ერთმორჯულე ხალხი დაუბარებია ერევნიდან: მოდით, დასახლდით, გავერანებული ადგილები დაამუშავეთ, მეც მარგეთ და თქვენც ირგეთო.

მირზოევის „საერო საქმე“ არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება. უნდა ვიფიქროთ, მის კვალს შეუდგება არამიანცი, რომელმაც თ. სიმონ წერეთლისაგან ბორჩალოშივე ეხლახან დიდი მამული შეიძინა. ასე და ამა პირსა ზედა თ. მელიქიშვილთა, თ. ბარათაშვილთა და თ. ორბელიანთა სამკვიდრებელი მალე ჰაისტანად იქნება გამოცხადებული. ყარაბაღელი აზნაურები იქ აჩენენ ჰაისტანს, სადაც სომხობა არ ყოფილა და არც ეხლაა და როცა სომხის მოსახლეს არა ერთ ცხრას ნახვენ ფეხმოკიდებულს ჩვენს ქვეყანაში, მაშინ ხომ მათ კადნიერებას საზღვარი აღარ ექნება. თუმცა გონიერის ადამიანის თვალში ამ გარემოებას თაბაუთი არა აქვს, რადგანაც ერი მოდგმით ყოველთვის ნარევი ყოფილა და საფუძველიც დაუდვია თავისთავად ცხოვრებისთვის, როცა კი საამისო მოწიფულობა გამოუჩენია.

სომხები ჩვენ მეფეთა დროსაც გადმოსახლებულან ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ეს გადმოსახლება საშიში არ ყოფილა, რადგანაც მაშინ მოქალაქობრივ მისწრაფებას მათ შორის ადგილი არ ჰქონდა. მას აქეთ-კი, რაც ჩვენმა წინაპრებმა საქართველო რუსეთის ერთ-მორწმუნე ხელმწიფეს ჩააბარეს, ზემორე ხსენებულმა მიმართულებამ გაბედულად იჩინა თავი და სომხის აზნაურებს იმედი მიეცათ ჩვენის დიდების ნანგრევზე თავიანთი ერის ბედნიერება აეგოთ.

მაგრამ ერთი რამ დაავიწყდათ. რამდენად კარგია და მოსაწონი ღვიძლი-ერის პატრონობა, მის დარაჯად დგომა, უცხო თესლი არ შეესიოს, იმდენად ცუდია და დასაგმობი მისი წაქეზება სხვა ერის სამკვიდროს დასაპატრონებლად, მეტადრე მაშინ, როცა წამქეზებელნი ამ ერის ქვეყნის შვილები არიან და მისი პურ-ღვინით უდგიათ პირში სული.

სომეხთა შემოსევას ჩვენს ქვეყანაში დიდად უნდა დაუფიქრდეთ ჩვენ, შეგნებული საზოგადოება, მუდამ თვალ წინ უნდა გვედგას ის დიდი განსაცდელი, რომელიც მოელის ჩვენს ქვეყანას ჩვენის მამულების არა ქართველის, მეტადრე სომხის ხელში გადასვლით; ჩვენი მოწინავე წოდება როცა რუსეთს იწვევდა ჩვენის ქვეყნის მფარველად, უეჭველია ღრმად იყო გამსჭვალული იმ აზრით, რომ ადგილ-მამული შეერჩინა, რადგანაც აგრეთვე ჰსთხოვდა დაებრუნებინა მისთვის ის მიწა-წყალი, რაც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა და სხვის ხელთ-კი იყო. ეხლა ეს გრძნობა დაგვეხშო და დაგვიჩლუნგდა. დაბრუნებას და შემოერთებას ვინღა ჩივის, თეთრით გაბრიყვებულნი იმაზედაც-კი ხელს ვიღებთ, რასაც ამ ჟამად ვფლობთ.

დროა, დრო შევიგნოთ, რომ ჩვენი მიწად სიმდიდრე ვერავითარის თეთრით ვერ აიწონება და რომ მოვალენი ვართ ისე უფრთხილდებოდეთ მას, როგორც ჩვენის თვალის ჩინსა და სულის დგმას. ხოლო თუ ის მუდრეგი თეთრი, რომლითაც, თუ არ გაგვიშავებია, ჯერ არაფერი გაგვითეთრებია, ისეთი საჭირო გამხდარა ჩვენთვის, რომ მას იქით გზა არა გვაქვს და იგია ჩვენი ხსნა, დავტრიალდეთ შინვე, მოვიწვიოთ ჩვენივე უმიწა-წყლო გლეხობა და იმას მივყიდოთ შეღავათიანის პირობით და თუ შეძენის თავი არ ექნა, ნაჭერ-ნაჭერ დაუყოთ საცხოვრებლად და მით ჩვენც ვნახოთ სარგებლობა.

ჩვენ კვალში დგომა სომეხთა ისტორიულია და თითქოს ბედის ნაწერიც. ჯერ იყო და VII საუკუნეში ქრისტეს წინ, როცა ჩვენი ერი აწინდელ არმენიაში ცხოვრებდა, ფრიგიით დაძრულნი შემოგვესიენ და იძულებულ გვყვეს დღევანდელ საქართველოსკენ დაგვეწია. ეხლა აღარც აქ გვასვენებენ და შემოსევას გვიპირებენ თათართა ერის ტალღებისაგან ლტოლვილნი. ჩვენ-კი მის მაგიერ, რომ თვითონ ისინი ჩავაყენოთ „კუნძულად ყოფაში“, ჩვენის ცხოვრების უნიჭობით და ჩვენებურის გულკეთილობით ჩვენვე ვიგდებთ თავს ამგვარსავე ყოფაში, რადგანაც დასავლეთით მართლა ზღვა გვარტყია და მით თითქოს ვამართლებთ სომეხთა მეცნიერის ჩვენის მოკეთის პატკანოვის აზრს, გულძვირობით გამოთქმულს ოთხმაციან წლებში საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში „ქართლის ცხოვრების“ გარჩევის დროს.

კლდია

დაბა და სოფელი

ს. როდინაული. (ქუთაისის მაზრა). როდინაულში მცხოვრები ტარიელ ვარდოსანიძე წარსულს მკათათვეს სიმინდის სათოხნად წავიდა სოფლის მახლობლად ორ ვერსზედ. საღამოზედ რომ ყანიდგან დაბრუნდა და სოფელს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ტალახში გზაზედ თეთრად რაღაცა ამობჭყვინავდა. გადმოიღო თოხი, დაჰკრა იმ ადგილას, ამოსწია, ნახა, რომ თოფი ამოჰყვა. თოფს ზედ შვიდი ვერცხლის სალტა ჰქონდა. ამას იქ აღარა უძებნია-რა, პირ-და-პირ შინ თურმე წავიდა. მერე წავიდა იმავე ადგილას მამა მისი იოსებ ვარდოსანიძე და ექვსი ნაჭერი ვერცხლისა ამან იპოვნა, მაგრამ ძნელი გამოსაცნობია, რისი სახმარი უნდა იყოს ეს ნივთები. თოფი არის სიგრძით ალაბ-ნახევარი და ერთი გოჯი, კონდახი სრულებით აღარა აქვს და უჩახმახო თოფს ზედ საფალიეზედა აქვს მიდუღებული წამლის დასაყრელი. თოფში ტყვია უნდა იყოს. თოფს აქვს 23 ვერცხლის ვარსკვლავი, ძვირფასის ხელოვნებით ნაკეთები. აქვს ორი ოქროს ბეჭედი და მასთან ოქროსივე მოვარაყებული უწინდელ მეფეთა გვირგვინი. თოფი უთუოდ მეფის ნაქონი უნდა იყოს და არა უბრალო კაცისა. სულ ცოტა ორასი წლის მაინც იქნება. აქვს რვა გურდი სანიშნებელი და ირგვლივ ვერ-

ფელეტონი

მეცხრამეტე საუკუნე

III

ერთა აღორძინება

(დასასრული მესამე თავისა *)

ის დიდი ბრძოლა, რომელსაც შედეგად იტალიის აღორძინება, დამოუკიდებლობა და გაერთიანება მოჰყვა, მრავალ-მხრივაა ჩვენთვის საგულისხმო. საგულისხმოა ამ ბრძოლის ისტორია არა მარტო მებრძოლთა და წინამძღოლთა ხასიათის ზნეობრივ სიფაქიზით,—ამ მხრივ ჰარიბალდი, მაძინი, საფფი და სხვანი თამამად შეგვიძლიან გვერდში ამოუყენოთ ეპამინონდებს, გრაკხებს, ვაშინგტონებს,—არამედ იმ ღრმა სულიერ ტრაგიზმითაც, რომელიც ბრწყინვალე სიცოცხლის მიწურულებში მაძინმა და იმისმა მეგობრებმა გამოსცადეს.

მაძინი საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, რომ ძლიერ ხასიათისა და მაღალ მისწრაფებით გატაცებულ კაცს არ შეუძლიან განაგრძოს ხელმძღვანელობა საზოგადოების თვით-ცნობიერებისა, თუ იმის პატრიოტულ ფორმულაში ადგილი არა აქვს დათმობილი თანამედროვე მეცნიერებისა და საზოგადოებრიობის პროგრესიულ შეხედულებებს. მაძინი-კი სიცოცხლის ბოლო წლებში სწორედ ასეთი კაცი გამოდგა. როგორც აღმოჩნდა, ინდუქტიურ მეცნიერების აღმოჩენანი და გამოკვლევნი, ევოლიუციონიზმის ფილოსოფიის სწავლანი შიშის ზარსა ჰგვრიდნენ ამ მამულიშვილს, ხოლო საზოგადოებრივ ცხოვრების მოთხოვნილებანი სამტროდ იწვევდნენ. და როდესაც განთავისუფლებულ იტალიის ახალი თაობა სამშობლოს გონებრივ და სოციალურ განახლებაზედ დაფიქრდა, მაძინი, ეს დიდებული მოქალაქე-პატრიოტი, თითქმის წყევლა-კრულვით მიეგება მეცნიერებას და იმის ახალ ფილოსოფიას... ეს ამბავი სწორედ იმავე დროს მოხდა, რა დროსაც გამოცემულ იქმნა პაპის პიი IX შესანიშნავი ბულლა, „Non passumus!“—ი, ის ბულლა, რომლითაც იეზუიტებმა იგივ მეცნიერება და ფილოსოფია გაჰკიცხეს.

მაძინი და პიი IX ერთადა ჰკიცხავენ მეცნიერებასა და სარევოლიუციო ფილოსოფიას!... ისტორიაში იშვიათად შეჰხვდებით მეორე ასეთ ტრაგიკულ მდგომარეობას.

ლიტერატურულ და პოლიტიკურ რომანტიზმის ხანაში აღზრდილმა, მუშაობის დროს ფიცხმა და დაუცხრომელმა, ცხოვრების დიად აზრით სრულიად გატაცებულმა მაძინიმ არ უწყოდა, რა განვითარებას მიაღწიეს იმ დროს (1830—1859 წლ.) ლაბორატორიებსა და კაბინეტებში ნამდვილმა მეცნიერებებმა. იგი ამ დროს, აღფრთოვანებული რომანტიულის დევიზით: „ღმერთი და ხალხი!“ (Idio e Popolo), დაუცხრომლად სამშობლოსათვის მუშაობდა. მე-50 და 60 წლების მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა აშინებდა მაძინის, ამ დიდებულ იდეალისტს. იმას ეგონა, რომ ახალი აზრ-შეხედულება ძირს უთხრის ზნეობას, ჭეშმარიტებას და თვით თავისუფლებასაც-კი... რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მაძინი ღრმად იყო შემცდარი. მაგრამ ამ მებრძოლსა და თავდადებულ მამულიშვილს ისეთ პატივსა სცემდნენ, რომ ვერა ჰბედავდნენ იმის თვალის ახელვას, სიმართლის პირდაპირ თქმას იმ დრომდე, ვიდრე მაძინიმ მწერლობის საშუალებით არ გამოილაშქრა მეცნიერების წინააღმდეგ. ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა და დაალონა მაძინის პატივის-მცემელნი,—ხოლო მათი რიცხვი დიდი იყო ყველა ერს შორის. ერთმა ასეთმა პატივის-მცემელმა, მაძინისავით ჭკუითა და ხასიათით ძლიერმა კაცმა, ბოლოს, როგორც იქმნა, თავს იდვა ჭეშმარიტების თქმა და საყვარელ მოღვაწის შეცდომის აღნიშვნა. პატარა, მაგრამ მეტად ნიჭიერად და ფილოსოფიურად შემუშავებულ წიგნაკს „La Theologie Politique de Mazzini“-ში ამ მეგობარმა და პატივის-მცემელმა განმარტა ის აზრი, რომ საკაცობრიო იდეალს პატრიოტიზმი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც იგი მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და საზოგადოებრიობის პროგრესიულ ელემენტებითაა გამსჭვალული; უამისოდ პატრიოტიზმი თანამედროვე კაცობრიობაში—რეაქციაა.

განთავისუფლებულ და გაერთიანებულ იტალიის უკანასკნელ 25 წლის ისტორია საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია მაძინის პატივის-მცემლის სიტყვებისა. ყოფილნი თანამშრომელნი და მიმდევარნი დიდებულ მამულიშვილისა—კრისპი, ნიკოტერა, ზანარდელი და სხვანი—ისევე, როგორც თვითონ მაძინი, შორს ჩამორჩნენ ახალ შეხედულებას, ახალ აზრებს და ახალ საზოგადოებრივ იდეალებს. იცით, მერე რა შედეგი მოჰყვა ამას? გახდნენ რა კანონმდებლებათ და მინისტრებათ, ამ მამულიშვილებმა დასცეს ხალხი ეკონომიურად, არ მისცეს მას არც სკოლა და არც კულტურული დაწესებულებანი. რაც შეეხება ახალ თაობასა და იმის იდეალებს, ყოფილმა რევოლიუციონერებმა და მებრძოლებმა ახალ მოღვაწეთა წინააღმდეგ იგივე დევნა-დაწიოკების სისტემა იხმარეს, რაც მეტტერნიხისა, ბურბონებისა და პაპების ფარ-ხმალს შეადგენდა... არა, ყოფილმა რევოლიუციონერებმა გადააჭარბეს კიდეც მათ: ახალი თაობა, ახალის იდეალებით გამჭვალულნი გვერდში ამოუყენეს „კომმორასა“ და „მაფიას“ *) ყაჩაღებსა და მკვლელებს, მონათლეს ისინი „mexatare“-ებად და როგორც ამ გვარი ხალხი, ადმინისტრაციისა და პოლიციის სრულ განკარგულებას გარდასცეს.... სიპრიანის ბარბაროსულ დაპატიმრების ისტორიამ კრისპის სამინისტროს ბატონობის დროს სისასტიკით გადააჭარბა ყველა იმას, რასაც სილვიო პელიკო გადმოგვცემს. მაძინის პატივის-მცემელის აზრს საფრანგეთის ნაციონალისტთა—დერულედისა, ლემეტრისა და სხვა რეაქციონერთა პატრიოტიზმიც ამტკიცებს.

პოლიტიკურმა მოძრაობებმა გერმანიასა და იტალიაში მალე სხვა დამორჩილებულ ერებზედაც იქონიეს გავლენა. განსაკუთრებით ამ მოძრაობამ თავი იჩინა უნგრელთა, რუმინთა და ჩეხთა შორის; ხოლო ამ უკანასკნელთა გავლენითა და რუსეთის დახმარებით, სხვა სლავიან ერთა შორისაც. მაგრამ ჩვენ არ შევჩერდებით აქ ამ მოძრაობათა ისტორიაზედ. სლავიანთა აღორ-

---

*) იხ. „ივერია“ № 169.

*) „კომმორა“ და „მაფია“ ქურდებისა და მკვლელების საიდუმლო ორგანიზაციებია ნეაპოლსა და სიცილიაში. პროფესორი ცმილტა ამტკიცებდა თავის წიგნში, რომ ნიკოტერას მათთან კავშირი ჰქონდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლი აქვს შემოკრული. თოფი იმდენად არის ჟანგისაგან შეჭმული, რომ სახმარად აღარ ვარგა. თოფს იმდენი ხელოვნება აქვს, რომ ძნელია მისი აღწერა.

აქაური მოგზაური.

ფასანაური (საქართველოს სამხედრო გზა). 23 აგვისტოს, ნაშუადღევს, კავკავიდან ფასანაურში ჩამოვიდა უმანის პირველი რაზმი 280 ცხენებზედ ამხედრებულის კაცით და დაბინავდნენ მთის ძირად, არაგვის მარჯვენა ნაპირზედ. ღამის ათი საათის ნახევარი იქნებოდა, რომ უეცრად ასტყდა ერთი არეულობა და თავში ცემა: მთიდგან დაგორებულმა უზარ-მაზარმა ლოდმა დააფრთხო ამოდენა ცხენები და ვინ იცის საით გაფანტა. ცხენებს თან გაჰყვათ თოკები და ავშარები, რომლებიც ფეხებში ხვდებოდათ და უარესად აფთხობდნენ. საძებრად მაშინვე ყაზახები დაგზავნეს და 24 დილით მორეკეს რამდენიმე ცხენი; ზოგი მათგანი გუდაურში და მლეთას შუა დაუჭერიათ, ზოგი დუშეთის აღმართში და ზოგიც ანანურში. რამდენიმე ცხენი დაშავებულია. როგორც ამბობენ, ზოგი ხევში გადაცვივნულა და დაღუპულა. რაზმის უფროსი ძლიერ დაღონებულია და ყველა ღონის-ძიებასა ხმარობს ცხენების პოვნისათვის. პოლიციაც ეხმარება. ქვის დაგორების მიზეზი უთუოდ დათვი უნდა იყოს, რომელიც ჭიანჭველებს დაეძებს ხოლმე ქვის ძირებში და მაშინ აბრუნებს უზარ-მაზარს ლოდებსა.

ნიკოლოზ მამისოვი

მთელს საინგილოში ახლა მხოლოდ ტფილისის გამოფენაზედაა ლაპარაკი. მოვალედაც გახადეს აქაური მოხელეები, რომ ყოველს მთგანს თავისს საზოგადოებიდგან რაიმე ნაწარმოები წარედგინა ნაიბთან, მაგრამ ეს ინგილოებისათვის სრულიად უნაყოფოა, ვგონებ, რადგანაც გამოფენას ვერ დაესწრებიან, თავიანთის ქვეყნის ნაწარმოებს სხვა ქვეყნებისას ვერ შეადარებენ და ვერც თუ ვის გაიცნობენ.

ამისი მიზეზი პირველი სიშორეა ტფილისზედ (200—300 ვერსია ტფილისამდე), მეორე—ხელმოკლეობა და მესამე—გაუნათლებლობა და გაუგებრობა.

კარგი იქნებოდა გამოფენის გამგეობა აქედგან რამდენსამე კაცს და ქალს მოიწვევდეს და ამ ნაირად, თუ ბევრი ვერ ეღირსებოდა გამოფენის ნახვას, რამდენსამე კაცსა და ქალს მაინც ენახა და ტფილისიდგან დაბრუნების შემდეგ ნანახი და გაგონილი მაინც გადაეცათ მეზობლებისათვის.

გ. ფ—ლი.

უცხოეთი

ჩინეთი. როგორც „Berliner Tageblatt“ იუწყება, ჩინეთში კვლავ იფეთქა თურმე რევოლუციონურმა მოძრაობამ. აჯანყება მოედო მთელს პაოტინფუს ოლქს, წინანდებურად მხეცურად მოკლულ იქმნა ზოგიერთი მისიონერნი, მღვდელნი და სხვანი. საშიში ხმები ამ რამდენისამე კვირის წინადაც ცადიოდა, მაგრამ მაშინ საკმაო ყურადღება არ მიაქციეს ვალდერზეეს დაბრუნების დღესასწაულისა გამო. ეხლა ეს ხმები მართლდება იაპონელების მხრივაც.

გერმანულ-იაპონური დრო-გამოშვებითი გამოცემა „Ostsien“ იტყობინება, რომ ჯერ კიდევ ივლისში იაპონურმა მთავრობამ მიიღო ტიან-ძინიდგან მოხსენება იმის შესახებ, რომ სამშვიდობო ოქმში აღნიშნულმა საზღაურმა ისევ ფრიად აადელვა ბოქსერებიო. მოხსენებაში ნათქვამია: „ჩრდილო ჩინეთში, პეკინიდგან 350 კილომეტრის მანძილზედ მოხდა ბოქსერთა მეორე აჯანყება. ბოქსერთა წინამძღოლმა ტიენმა განაცხადა: „უსამართლობაა, რომ მთავრობამ აძლიოს უცხოელებს საზღაური შარშან ზაფხულს მოკლულ მისიონერთა დამათ ზარალისათვის. თუ რომ ჩვენს ქვეყანაში სულ არ ყოფილიყვნენ უცხოელნი, ჩვენ არავითარის საზღაურის გადახდა არ მოგვიხდებოდა, რადგანაც მაშინ ბოქსერნი არ აჯანყდებოდნენ, ამისათვის ჩინეთი უნდა გაიწმინდოს უცხოელთაგან.“ წინაპირველად ბოქსერებს ჰყავდათ სულ 600—700 კაცი, ეხლა მათ ჰყავთ 20,000 კაცი. ბოქსერთა დროშაზედ წარწერილია: „ჩინეთის გაწმენდა, უცხოელთა გაქრობა.“

ინგლისი. ტრედ-უნიონთა კონგრესის სხდომაზედ პრეზიდენტმა ბოუერმანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც შეეხო, სხვათა შორის, ომს: „შარშანდელ კონგრესის შემდეგ მალე მოხდა საზოგადო საპარლამენტო არჩევნები და ბევრის მუშებით დასახლებულ ოლქის ამომრჩევლებმა, რომლებზედ დიდი შთაბეჭდილება იქონია ბაირაღების ფრიალმა და „ურა“-ს ძახილმა, ზურგი შეაქციეს თავისს მეგობრებს „კაპიტალ ისტურის პატრიოტიზმის“ სასარგებლოდ. ამის შედეგი იყო ის გარემოება, რომ ყველა საჭირო საგნები, რომელიც მუშების ეკონომიურ-სოციალურ კეთილდღეობას ეხებოდა, სრულიად მიგდებულ იქმნენ მიმდინარე პარლამენტის სესიის დროს, საბედნიეროდ ომით გატაცება თან და თან ნელდება, თუმცა სისხლის მღვრელი ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება.“

შეერთებული-შტატები. ვენეცუელასა და კოლუმბიას შორის მომხდარ განხეთქილების გამო გაზეთებს მოჰყავთ ვიცე-პრეზიდენტის რიგზველტის შემდეგი სიტყვა, მინნეაპოლისში წარმოთქმული:

შეერთებულმა შტატებმა არ უნდა უარჰყონ შესაფერი როლის თამაშობა დიდ ერთა შორის. ჩვენ ადრე თუ გვიან უნდა ვიკისროთ მოვალეობა სხვა ხალხთა წინაშე, ჩვენ არა გვსურს მხარი მივცეთ რომელსამე აგრესიულს პოლიტიკას ამერიკის ერთი სახელმწიფოსას მეორის წინააღმდეგ, ანუ საბაჟო განსხვავებათა პოლიტიკას, რომლისამე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულს. ვაჭრობაში ჩვენ ერთი რამ გვსურს—მეტოქეობა თანასწორის უფლებით და არავითარი პრივილეგია. მაგრამ თუ ჩვენ გონიერნი ვართ, მხნედ უნდა ვეცადოთ, რომ არც ერთმა ევროპის სახელმწიფომ არ გააფართოვოს თავისი ტერიტორია ამერიკის მიწა-წყალზედ“.

გერმანია. 18 (31) აგვისტოს ლეიპციგში სრულიად გერმანიის ფერეინების (კავშირი) წარმომადგენელთა კრება მოხდა, რომელსაც დაესწრნენ ავსტრიელი, ვაშინგტონელი და იოჰანესბურგელი თანამოაზრენი. კრებას თავმჯდომარეობდა „Alldeutscher Verband“-ის საზოგადოების პრეზიდენტი გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი პროფესორი გასსე. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სიამოვნებით მიეგება ავსტრიის ყველა დასის პოლიტიკურს მოღვაწეობას, რომელიც „სრულიად ნემეცთა მიზანს“ ემსახურება. „სრულიად ნემეცთა კავშირი“ თავისი პროგრამის თანახმად ყოველთვის ეცდება ავსტრიაში „გერმანელობის“ უზრუნველ საყოფელად. ამ მიზნის მისაღწევად იგი საჭიროდ რაცხს ხელი შეუწყოს ავსტრიის იმ მიწების მოწყესრიგებას, რომლებიც ერთს დროს გერმანიის კავშირს ეკუთვნოდა; ამისთვის ავსტრიიდგან უნდა გამოყოფილ იქმნას გალიცია, ბუკოვინი და დალმაცია. გარდა ამისა ყოვლის უწინარეს სასურველია მტკიცე ეკონომიური ერთობა გერმანიისა ავსტრიის დანარჩენ მიწებთან. ერთის სიტყვით, პანგერმანისტებმა გულახდილად აღიარეს თავისი მიზანი—ახლო მომავალში გერმანიამ უნდა შთანთქას ავსტრიის ნემეცთა, ჩეხთა და სლოვინთა მიწები, ხოლო დანარჩენი ჰაბსბურგთა მიწები სხვა სახელმწიფოთ დაეთმოს.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ერთ გაზეთში დაბეჭდილია რკინის გზათა სტატისტიკა 1899 წლისა. როგორც გაზეთი გადმოგვცემს, რკინის გზების სიგრძე მთელ დედამიწის ზურგზედ 1899 წელს უდრიდა 772,159 კილომეტრს (კილომეტრი ვერსზედ ცოტა პატარაა—468 საჟენია). აქედგან:

ამერიკაში . . .	392,860	კილომეტრი
ევროპაში . . .	277,748	„
აზიაში . . .	57,822	„
ავსტრალიაში . .	23,615	„
აფრიკაში . . .	20,114	„

სახელმწიფოთა შორის რკინის გზათა სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავს ამერიკის შტატებს—304,576 კილომეტრი.

შემდეგ გერმანიას.	50,511	„
რუსეთს	45,998	„
საფრანგეთს. . .	42,211	„
ავსტრო-უნგრეთს .	36,275	„
ინდოეთს . . .	36,188	„
ინგლის. დ ირლანდ.	34,868	„
კანადას	27,755	„
იტალიას . . .	15,723	„
ესპანიას . . .	13,281	„

ძინების შესახებ მკითხველს შეუძლიან უფრო ვრცელი მიმოხილვა 1882 წლის „ივერია“-ში ჰნახოს. იმავე ჟურნალში 1883 წელს დაიბეჭდა მშვენიერი წერილი ბ-ნ კარიჭაშვილისა ბერძენთა აღორძინების შესახებ. მოთავსებული იყო ვაზიანის წერილიც ლიუდვიგ კოშუტის, უნგრეთისა დ საავტონომიო ბრძოლის შესახებ („ივერია 1894). ახალს აქ, ამ მოკლე მიმოხილვაში მკითხველს ვერაფერს ვეტყვით, ამიტომ დავამთავრებ ამ თავს შემდეგის საზოგადო მიმოხილვით.

საუკუნის დასაწყისს ოსმალეთი ერთ უძლიერესს სახელმწიფოთაგანი იყო და დღევანდელი საბერძნეთი, რუმინია, სერბია და ბოლგარია იმის პროვინციებს შეადგენდნენ, ნახევრად ბარბაროსულ, უფლებებ მოკლებულ პროვინციებს. გონებრივ მუშაობასა და საერო ლიტერატურაზედ ამ ქვეყნებში ხსენებაც-კი არ იყო. მხოლოდ ხალხი, „საზიზღარი რაია“, არ ივიწყებდა თავის სიმღერებსა და ზღაპრებში განვლილ დამოუკიდებლობას, ნათესავურ კავშირს სხვა მართლმადიდებლებთანა და სლავიანთა თავისუფალ ერებთან. აი, ეს ლეგენდები და სიმღერები დაედვნენ საფუძვლად გონებრივ აღორძინებას. ნემეცთა ისტორიულ ლიტერატურისა და ძმათა გრიმმების კრებულების გავლენით, იმ კრებულებისა, რომლებშიც სახალხო სიმღერები და გადმოცემანი იყო მოთავსებული და რომლებმაც ყველას დაანახვეს სახალხო შემოქმედების სიმშვენიერე, ამ კრებულების გავლენით, ვამბობთ, დასახელებულ ერთა თითო-ოროლა განათლებული კაცები გულ-მოდგინეთ შეუდგნენ თავიანთ ხალხის გადმოცემებისა და სიმღერების შეკრება-შესწავლას. განვლილ საუკუნის ნახევრამდე ამ ერთა უმრავლესობის გონებრივი და ისტორიული მოღვაწეობა განისაზღვრებოდა სახალხო პოეზიით, ორიოდე ისტორიულ და არქეოლოგიურ მონოგრაფიით და პატრიოტულ ლექსებით. იმდენად ღარიბნი იყვნენ შინაარსით ახლად ფეხ-ადგმულნი ლიტერატურანი, იმდენად დაბლა იდგა იმათი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ მე-50 წლებში გერმანიის მოწინავე საპოლიტიკო მოღვაწეებს არც-კი უნდოდათ რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცათ ახლად აღმოცენებულ მოძრაობისათვის. თვით კ. მარკსი ამ წვრილ ერებს ევროპაში მხოლოდ მეორე ხარისხოვან, სხვათა სამოსამსახურო როლს ანიჭებდა *).

მაგრამ თავისუფალმა საერო ცხოვრებამ იმდენად საკეთილო გავლენა იქონია, რომ გავიდა რაღაც 20—25 წელიწადი და თვით მარკსი სიამოვნებით ესწრებოდა იმ კონგრესებს, რომელზედაც მსწრაფლად განვითარებულ ბალკანიის ერთა დელეგატები იკრიბებოდნენ... სერბს სვეტოზარ მარკოვიჩს, ბოლგარს ლიუბენ კარაველოვს, რუმინს ბაბეშს, ჩერნოგორელს ტესლას დღეს საპატიო ადგილი უჭირავთ,—პირველ ორს პოლიტიკურ და სოციალურ ლიტერატურაში, ხოლო დანარჩენთ—მეცნიერებაში: ბაბეში მნათობია ბაქტეოროლოგიისა, ხოლო ტესლა—უნიჭიერესი წარმომადგენელია ელექტრო-ტეხნიკისა ევროპასა და ამერიკაში.

ერთა აღორძინების შესანიშნავ ისტორიულ პროცესში, რომელმაც დიდად შესცვალა ევროპის საპოლიტიკო რუკა და გამოიწვია განვლილი საუკუნის უდიდესნი ბრძოლანი, საყურადღებოა სამის ძლიერის სახელმწიფოს როლი: ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთისა. არც ერთი ამათგანი თითქოს არ იყო დაინტერესებული დასახელებულ ერთა შინაურ ცხოვრებაში; მაგრამ ამისდა მიუხედავად წვრილ ერთა აღორძიებამ დიდი სახელი მოუხვეჭა ამ სამ ძლიერ სახელმწიფოს.

ჩემ მოკლე მიმოხილვიდგანაც დაინახავდა მკითხველი, რომ მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისს საფრანგეთმა დიდად და დიდად შეუწყო ხელი ეროვნულ და დემოკრატიულ მოძრაობას ევროპაში. ასეც უნდა მომხდარიყო. ყოველმავე ახალმა იმ დროის საფრანგეთის ცხოვრებაში იჩინა თავი, როგორც იმან, რაც ჰოლანდიელ პატრიოტებსა და ანაბაპტისტებს ამოძრავებდა, აგრეთვე შეერთებულ შტატების დამაარსებელთა დიდებულმა იდეალებმა, შესანიშნავ ენციკლოპედისტების, ამ პუბლიცისტთა და ფილოსოფოსთა, დიდსულოვნებამ და, დასასრულ, იმ დიადმა ჰიპოტეზებმა და აღმოჩენებმა ნამდვილ მეცნიერებათა სფეროში, რომელთა წყალობითაც ძირეულად შეიცვალა კაცობრიობის აზრ-შეხედულება. მეგობარნი და მტერნი, პროგრესისტნი და რეაქციონერნი, ყველანი ერთნაირის გულ-მოდგინეობით ადევნებდნენ თვალ-ყურს საფრანგეთის „დიდებულ ერის“ — „La grande Nation“—ცხოვრებასა და იმის მოვლენებს. ჩვენ ვხედავთ საფრანგეთს ლიბერალურსა და რესპუბლიკანურს, ძმურად ხელის გამწვდელს იტალიის, ესპანიის, უნგრეთისა და სხვათა პატრიოტებისა და რესპუბლიკანელებისაკენ; ჩვენ ვხედავთ იმის, მალიმალ გამოცვლილ, მთავრობას, საზოგადოების გავლენით საბერძნეთისა და იტალიის განთავისუფლებისათვის თავ-გამოდებულს. ყველა ამისათვის დაჩაგრულნი ერნი მადლიერის თვალით შესცქეროდნენ საფრანგეთს; იმათთვის საფრანგეთის ხალხი მართლაც „La gronde Nation“-ი იყო.

ასეთისავე თანაგრძნობით და უფრო მეტის პრაქტიკულის დახმარებით ექცეოდა ჩაგრულ ერებს ინგლისი. იმისი საზოგადო და საპოლიტიკო მოღვაწენი, იმისი პოეტები და პუბლიცისტები, ყველა ეს ბაირონები, კოვენები, სტანსფილდები,*) გლადსტონები და ათასნი სხვანი ან იბრძოდნენ, ან სხვა რიგად ეხმარებოდნენ აღორძინებულ ერთა განთავისუფლების საქმეს.

რაც შეეხება რუსეთის მონაწილეობას, საკმაოა აღვნიშნოთ, რომ საბერძნეთისა, სერბიისა, ბოლგარიისა და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი ყოველთვის უყურებდნენ რუსეთს, როგორც ერთმორწმუნე და მონათესავე შემწე-დამხმარებელს.

ვ. მარველი.

---

*) იხილე იმისი წერილები ნიუ-იორკულ „Daily Tribune“-ში, 1852 წ. 5 და 15 მარტი.

*) იხ. ჩემი შენიშვნები კოვენსა და სტანსფილდის შესახებ. „ივერია“ 1898 წ.

შვეციას . . .	10,723	„
იაპონიას . . .	5,846	„

მცხოვრებთა რაოდენობას თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 10,000 მცხოვრებზედ მოვა:

შვეციაში . . .	21,4	კილომეტრი
შვეიცარიაში. . .	12,4	„
დანიაში	12,3	„
ბავარიაში . . .	11,4	„
ბადენში	11,1	„
ელზას-ლორენში. . .	11	„
საფრანგეთში . . .	10,9	„
პრუსიაში	9,7	„
რუსეთში	0,5	„

⁂

თუ რა საოცრად გაძლიერდა ამერიკის შეერთებულ შტატების მრეწველობა-ვაჭრობა, შემდეგ ციფრებიდგანა სჩანს. წარსულ წელს შტატებში შეუტანიათ სულ 1,600 მილიონ მანეთის საქონელი, ხოლო ამავე წელს გაუტანიათ 3,000 მილიონ მანეთისა, რაიცა თვითეულ მცხოვრებზედ 200 მანეთს შეადგენს, ე. ი. თვითეულ ამერიკელ ოჯახს გაუგზავნია საზღვარ გარეთ 200 მანეთის ნაწარმოები, გაუღია გადაზიდვის ხარჯი და, ამისდა მიუხედავად, ბევრად იაფად გაუყიდნია იგი, ვიდრე ადგილობრივ დამზადებული ამ გვარივე ნაწარმოები იყიდებოდა.

⁂

შვეიცარიაში, აარგაუს კანტონში სცხოვრობს ერთი ქარხნის პატრონი, გვარად კაპპელერი. ეს კაპპელერი შემდეგის პირობით შეჰკვრია თავისს ქარხნისს მუშებს. ამაერიდგან ის წმინდა მოგება, რასაც იძლევა ქარხანა, მუშების საკუთრებად უნდა ჩაითვალოს. ქარხნის პატრონი წმინდა მოგებიდგან მხოლოდ შემდეგს მიიღებს: სამოქმედო თანხასა და ინვენტარში—4°/₀, სამექანიკო მოწყობილობებში—5°/₀ და შენობებში—1°/₀. ამას გარდა ქარხნის პატრონს მიეცემა აგრეთვე ჩვეულებრივი სამუშაო ფასი, დანარჩენი წმინდა მოგება ასე იქმნება განაწილებული: 50°/₀—მუშებს მიეცემა, 10°/₀—სამუშაო კასისათვის იქმნება გადადებული (კასიდგან პენსია დაენიშნებათ მოხუც ან დაშავებულ მუშებს, შემწეობა აღმოეჩინებათ გაჭირვებულთ და სხვა), 20°/₀—სარეზერვო თანხას მიემატება; 20°/₀—ტურგიის ქალაქის თვითმმართველობას გადაეცემა ქალაქის მოწყობა-დამშვენებისა, ღარიბ მცხოვრებთა შეწევნისა და სხვა საჭიროებათათვის. მუშებს გადაუწყვეტიათ ის 50°/₀, რომელიც მათ წმინდა მოგებიდგან ერგებათ, არ წაიღონ ხოლმე, არამედ იმისაგან თანხა შეადგინონ და ბოლოს ქარხანა სრულიად გამოისყიდონ. ამ 50°/ გარდა მუშებს, რასაკვირველია, სამუშაო ფასიც ეძლევათ, რომელიც ჩვეულებრივ ხარჯშია შეტანილი.

ახალი წიგნი.

რედაქციამ მიიღო „ლექსები და პოემები“ ევდოშვილისა, გამოცემული გ. წ—სა და ამხ.—ის მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია პოემები და ლექსები ბ-ნ ევდოშვილისა, დაწერილი 1895-დან 1901 წლამდე. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 162 ვვერდს და ღირს ათ შაურად.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

30 ავგისტო.

პეტერბურგი. 29 ავგისტოს ვარშავის გზით წაბრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე.

29 ავგისტოს მოსკოვში წაბრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

ნიუ-იორკი. როგორც ვილმესტადიდგან იუწყებიან, საფრანგეთის გემს „სუშეს“, კოლუმბიის ნავთსადგურ ბალაუკვალიდგან მოსულს, ამბავი მოუტანია, რომ 27 ავგისტოს ლაგაჩასთან ერთის გემიდგან გადმოვიდა ათასი კოლუმბიელი ჯარის კაცი. ვენეციის ოთხი გემი ლაგაჩას პირდაპირა სდგას, კოლუმბიის ჯარი თავს-დასხმას მოელის. შემდეგ იუწყებიან, რომ 10 ავგისტოს 1000 ვენეცუელი დავილის უფროსობით მარაკალბოდგან წავიდა ოთხის გემით და ლაგაჩას ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენისამე მილის მანძილზედ გადმოვიდა. მარაკალბოდგან წამოვიდა კიდევ ერთი ექსპედიცია ვენეცუელთა და კოლუმბიის ლიბერალთაგან, სულ 500 კაცისაგან შემდგარი და ხმელეთით ლაგაჩასვე გაემართა. ეს ექსპედიცია ალბათ უკვე დანიშნულს ადგილს მიუახლოვდა.

კილი. რუსეთის იმპერატრიცა პრინცესა ირენათურთ დილით გიმელ პარკში წაბრძანდა პრინცის ჰენრიხის მამულში.

ბუფფალო. დილის 6 საათზედ შემდეგი ბიულლეტენი იქმნა გამოცემული: „პრეზიდენტმა ღამე კარგად გაატარა, მაჯის ცემა 122, სიცხე 100.“

დანციგი. იმპერატორი ვილგელმი ჰოგენცოლერნის გემით „ნიობე“-ს გემისა და სადღესასწაულო ნავის თანხლებით დილით წაბრძანდა რუსეთის იმპერატორის მისაგებებლად, რომელიც მობრძანდა „შტანდარტის“ გემით „ვარიაგის“ გემის თანხლებით. 3საათს ღ 30 წამზედ იმპერატორთა გემები მიახლოვდნენ, „ჰოგენცოლერნი“ წინ მოდიოდა. გემების იალქნებზე ბაირაღები ფრიალებდა. 3საათს და 45 წამზედ ზარბაზნები დასცალეს. მათ უდიდებულესობათ ესკადრის იუგვლივ შემოიარეს. მშვენიერის ამინდისა გამო ბევრი ბაირაღით მორთული კერძო გემი ზღვაში გავიდა.

დანციგი. დღეს, დილის 8 საათზედ, ესკადრამ დიდი ალღუმი დაიწყო და დაეცა დანციგის ნავთსადგურის ნაპირს, რომელსაც იცავენ ნაპირის ბატარეია და ნაპირის გემები. იმპერატორი ვილგელმი და რუსეთის იმპერატორი დაესწრნენ ალღუმს. მშვენიერი ამინდია. ბრძოლა საინტერესო სანახავი იყო. ბრძოლა 2 საათზედ კიდევ იყო.

ხარკოვი. გენერალმა დრაგომიროვმა ნება დართო გაიხსნას აქ 17 სექტემბერს სამხედრო სასამართლო იმ 13 დამნაშავის საქმის განსახილველად, რომელთაც მკვლელობა, ძარცვა და ქურდობა ბრალდებათ.

ნოვოჩერკასკი. კარგი წვიმები იყო. ანეულის თესვა დაიწყო.

31 ავგისტო.

პეტერბურგი. „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია: „29 ავგისტოს, დილის 11 საათზედ გაშლილს ზღვაზედ დანციგიდგან 58 მილის მანძილზედ გემს შტანდარტს შეხვდა გემი „ჰოგენცოლერნი“. ხელმწიფე იმპერატორი ნავით მივიდა „ჰოგენცოლერნთან“, სადაც შემოეგება იმპერატორი ვილჰელმი. ხელმწიფე იმპერატორის შემდეგ მოვიდნენ კიდევ გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, მინისტრნი იმპერატორის კარისა ბარონი ფრედერიკსი და გარეშე საქმეთა გრაფი ლამზდორფი, ობერ-გოფმარშალი გრაფი ვილენბურგი, იმპერიის კანცლერი გრაფი ბულოვი, ზღვათა მინისტრი ტირპიცი და მათის უდიდებულესობის მხლებელნი ხელმწიფე იმპერატორი როცა „შტანდარტში“ დაბრუნდა, მასთან მივიდნენ ვილჰელმ იმპერატორი და პრინცი ჰენსიხ პრუსიელი.

დანციგი. 29 ავგისტოს გერმანიის იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატორმა ესკადრები დაათვალიერეს. იმავე დღეს „შტანდარტში“ უმაღლესი სადილი იქმნა გამართული, რომელზედაც მოწვეულ იქმნენ გერმანიის იმპერატორი, კანცლერი ბულოვი, ობერ-გოფმარშალი ვილენბერგი, გრაფი ვალდერზეე, პრინცი შენბერგი და სხვანი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშები“: გელა. 29 ავგისტოს იმპერატორი ვილჰელმი შეეგება თავის უავგუსტოესს სტუმარს რუსეთის იმპერატორს მუსიკამ ეროვნული ჰიმნი შეასრულა და შეიქმნა „ურას“ ძახილი. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი მხლებლებითურთ „ჰოგენცოლერში“ წაბრძანდა, მათნი უდიდებულესობანი გულითადის სიყვარულით მიესალმნენ ერთმანეთს.

გელა. 29 ავგისტოს „ჰოგენცოლერნმა“, რომელსაც მისდევდნენ „შტანდარტი“ და სხვა გემები გერმანიის ესკადრის შუა გაიარა. იმპერატორი ვილჰელმი, რომელსაც ეცვა რუსთა ადმირალის მუნდერი, ქუდზე ხელ-მიდებული გამოიჭიმა რუსეთის იმპერატორის უკან, რომელსაც გერმანიის ადმირალის მუნდერი ეცვა. რუსეთის გემები გაჩერდნენ პირველ ესკადრის უკანა.

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდგან იუწყება: „29 ავგისტოს კ. კრიუგერი, პრეზიდენტის კრიუგერის შვილი, და კაპიტანი ფენეიდანებდნენ“.

ბრიუსელი. „Jndepandance Relge“-ში გამოქვეყნებულია ოფიციალური წერილი, რომელიც 29 ავგისტოს გაუგზავნეს გააგის საერთაშორისო სასამართლოს ორანჟეს რესპუბლიკის რწმუნებულთ ლეიდსმა, ვესელსმა, ვილმარანსმა და ფიშერმა. რწმუნებულნი სურვილს აცხადებენ, რომ ყველა საკამათო საქმე, რომელმაც გამოიწვია ინგლისთან ომი, გადაწყვეტილ იქმნენ სამედიატორო სამართლით.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა ანდრემ მეუღლითურთ დღეს სადილი გაუმართეს გენერალს სახაროვსა და მისს მეუღლეს. დაესწრნენ თავადი ურუსოვი, ვალდეკ-რუსო, ქ-ნი დელკასე, გრაფინა მონტებელი, გენერლები, პოლკოვნიკები და სხვანი.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილით 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

სააგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების

სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს ავგისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა იმყოფება ლერმონტოვისა და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან იმ კუთხეში, სახლი საგარდაპოსერბსკისა, № 12.

(3—უ—3)

ფრიად საჭიროა იმა[illegible]

თმა სცვივა.

მე, M-me ევგენია ლავო, გამომგონელი თმის გასამაგრებელ და საზრდელ სითხის

„ფ ე ნ ო მ ე ნ ი ს ა,“

ტფილისში ჩამოვედი და დავრჩები ძალიან ცოტა ხანს, რასაც ვაუწყებ პატივცემულს საზოგადოებას. სითხე **„ფენომენი“** იხმარება შაკიკის, ნევრალგიისთ, თავისტკივილისა და სხვა ავადმყოფობის მოსარჩენად. მაქვს მრავალი მადლობის წერილი იმათგან, ვინც ჩემ მიერ გამოგონილი სითხე იხმარა. მსურველთ ვიღებ დილის 10-დგან 12 საათამდე და 2 საათიდგან 6-მდე. რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.

პატივისცემით ევგენია ლავო

ხსენებული სითხე „ფენომენი“ ნება-დართულია სამკურნალო მმართველობისაგან, ქ. ოდესა, № 1577.

ადრესი: ტფილისი, „ვეტცელის“ სასტუმრო, მიხეილის ქუჩა. კავ. გამოფენის დროს სითხე გამოფენაზედ გაიყიდება.

(4—190—4)

როიალები

პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა **ბ. მ. მირიმანიანისა**

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—24)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**